სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 22

2019 წ. "09" 07

ქ.თბილისი

შპს ელიტ სქულის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 03 ივლისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ელიტ სქულის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №896872) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 03 ივნისის №17 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს ელიტ სქულის ავტორიზაციის გაუქმებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივრის მიღების საკითხი. გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^4 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს ელიტ სქულის № 896872 სააპელაციო საჩივარი.

2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი